1964/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (235) 20 იანვარი 1964 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ნაწილი I

#### განყოფილება პირველი

28. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ყავის თაობაზე 1962 წელს დადებული საერთაშორისო შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.

#### განყოფილება მეორე

29. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოსკოვის სალი შენადნობების კომბინატის დირექტორ ამხ. ს. პ. სოლოვიოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
30. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. ისაევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
31. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტორ ე. კ. ტიკოცკის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ.
32. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ა. ა. კარავაევას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
33. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პოეტ ს. ვ. სმირნოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
34. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ჩ. კ. კიდრაშევის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ.
35. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. შევჩუკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
36. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ვ. ს. ნემჩინოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
37. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. თ. კატაევის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ.
38. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. ლევენცოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
39. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. [illegible] მ. შკოლნიკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ტ. კულ-ტოვს რწმუნების სიგელები გადასცა კანადის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რ. ფორდმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

## ნაწილი II

### განყოფილება პირველი

40. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დაბა ყვარლის რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი I

### განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**28 ყავის თაობაზე 1962 წელს დადებული საერთაშორისო შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი 1962 წლის საერთაშორისო შეთანხმება ყავის თაობაზე რატიფიცირებულ იქნეს იმ განცხადებითურთ, რომელიც სსრ კავშირის წარმომადგენელმა გააკეთა ამ ხელშეკრულების ხელმოწერისას ნიუ-იორკში 1962 წლის 23 ნოემბერს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 30 დეკემბერი.
№ 2073-VI.

### განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**29 მოსკოვის სალი შენადნობების კომბინატის დირექტორ ამხ. ს. პ. სოლოვიოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

სამამულო სალი შენადნობების მრეწველობის განვითარების დარგში დიდი დამსახურებისათვის, აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მოსკოვის სალი შენადნობების კომბინატის დირექტორს ამხ. სტეფანე პორფილეს ძე სოლოვიოვს მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 8 იანვარი.
№ 2101-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**30 ამხ. ა. ი. ისაევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით კრასნოიარსკის მშრომელთა დეპუტატების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხარეო (სამრეწველო) საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ანატოლი ივანეს ძე **ისაევი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 9 იანვარი.
№ 2104-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 31 კომპოზიტორ ე. კ. ტიკოცკის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მუსიკის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით კომპოზიტორი ევგენი კარლის ძე **ტიკოცკი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 9 იანვარი.
№ 2105-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 32 მწერალ ა. ა. კარავაევას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ანა ალექსანდრეს ასული **კარავაევა** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 9 იანვარი.
№ 2106-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 33 პოეტ ს. ვ. სმირნოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა პოეზიის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით პოეტი სერგი ვასილის ძე **სმირნოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 9 იანვარი.
№ 2107-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 34 ამხ. ჩ. კ. კიდრაშევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ალტაის მხარის მთიანი ალტაის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჩეტა კიდრაშის ძე **კიდრაშევი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 9 იანვარი.
№ 2108-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 35 ამხ. გ. ი. შევჩუკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით უკრაინის კომპარტიის ტერნოპოლის ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. გრიგოლ ივანეს ძე **შევჩუკი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 იანვარი.
№ 2109-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 36 აკადემიკოს ვ. ს. ნემჩინოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ეკონომიური მეცნიერებისა და სტატისტიკის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ორმოცდახუთ წელთან დაკავშირებით აკადემიკოსი ვასილ სერგის ძე **ნემჩინოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 13 იანვარი.
№ 2112-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 37 ამხ. ე. თ. კატაევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით კომის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ევგენი თევდორეს ძე **კატაევი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 14 იანვარი
№ 2113-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 38 ამხ. ვ. ა. ლივენცოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ყაზახეთის კომპარტიის ჩიმკენტის სასოფლო ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. ვასილ ანდრიას ძე **ლივენცოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 იანვარი
№ 2114-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 39 ამხ. ა. მ. შკოლნიკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საპჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სკკპ ვოლგოგრადის სასოფლო ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. ალექსი მიხეილის ძე **შკოლნიკოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 იანვარი.
№ 2124-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ტ. კულატოვს რწმუნების სიგელები გადასცა კანადის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რ. ფორდმა

ა. წ. 10 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ტ. კულატოვმა კრემლში მიიღო კანადის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რობერტ ა. დ. ფორდი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ მრჩეველი ა. ფ. ჰარტი, სავაჭრო მრჩეველი რ. ვ. ნ. გორდონი, სამხედრო-საჰაერო ატაშე ავიაციის პოლკოვნიკი გ. მ. სმიტი, სამხედრო-საზღვაო ატაშე კაპიტანი ჯ. გ. ჯ. ბოვი, სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი კ. ა. გრინლიიფი და საელჩოს სხვა დიპლომატიური თანამშრომლები.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. სობოლევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები ვ. ს. ლავროვი, თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საგარეო კავშირურთიერთობათა განყოფილების გამგის მოადგილე ა. ლ. ზორინი და სხვა ოფიციალური პირები.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ტ. კულატოვს საუბარი ჰქონდა რ. ფორდთან. საუბარში მონაწილეობა მიიღეს მ. პ. გიორგაძემ და ა. ა. სობოლევმა.

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ყირგიზი ხალხის მიერ სახელმწიფო, სამეურნეო, კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის და რუსეთის შემადგენლობაში ყირგიზეთის ნებაყოფლობითი შესვლის 100 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 11 იანვრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ყირგიზეთის სსრ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების 450 მოწინავე, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკი.

**ლენინის** ორდენით დაჯილდოებული არიან: ლენინსკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „კომუნიზმის“ ბრიგადირი ს. ახმადალიევი, ტალასის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს საბჭოთა მეურნეობა „ჯუან-ტიუბეს“ უფროსი მწყემსი კ. აშირმამბეტოვი, კალინინსკოეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის მესიმინდეობის კომპლექსურ-მექანიზებული რგოლის მერგოლური ვ. ს. ბოგდანოვი, კოჩკორკას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს საბჭოთა მეურნეობა „ტუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეკის“ უფროსი მწყემსი ა. ბეიშეევი, ტიუპის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს XXII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის უფროსი მწყემსი მ. ჯანიბეკოვი, სუზაკის კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ე. კიმსანოვი, ჩუს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „40 ლეტ ოქტიაბრიას“ მერგოლური მ. ი. კულბედა, არავანის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი კ. მადრახიმოვი, ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. მამბეტოვი, ტიუპის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „ზარია კომუნიზმას“ მეხბორე ვ. ი. მელნიკოვა, ფრუნზეს მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატი ი. ს. მიროშნიჩენკო, ლენინსკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარომოო სამმართველოს რახმაჯანის სახელობის კოლმეურნეობის კომპლექსურ-მექანიზებული ბრიგადის ბრიგადირი ს. ნოგოევა, ალამედინსკის კოლმეურნეობეპისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს მანქანების გამოსაცდელი სადგურის მეჭარხლეობის რგოლის მერგოლური ნ. ა. ოსიპენკო, უზგენის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს XXII პარტყრილობის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური ტ. სატიმოვი, კოჩკორკას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს საბჭოთა მეურნეობა „კოჩკორკას“ უფროსი მწყემსი ტ. სეიტალიევი, ჯეთი-ოგუზის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს ისიკ-ყულის მეცხვარეობის საცდელი სადგურის უფროსი მწყემსი დ. ტინაევი, ყირგიზეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. უსუბალიევი, არავანის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „იანგი-იულის“ ბრიგადირი ე. ხაიტმატოვი, არავანის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს XXII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ბამბის საკრეფი მანქანის მექანიკოსი-მძღოლი ხ. შამურზაევა და ყარა-სუს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს მეცხვარეობის სახელმწიფო საჯიშე ქარხანა „კატა-ტალდიკის“ უფროსი მწყემსი ს. ელტაევი.

**შრომის წითელი დროშის** ორდენით დაჯილდოებულია 40 კაცი, **„საპატიო ნიშნის“** ორდენით — 70, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 120 და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** — 200 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი II

### განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**40 დაბა ყვარლის რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

გარდაიქმნას ყვარლის რაიონის ცენტრი — დაბა ყვარელი რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო ყვარლის სადაბო საბჭო — ყვარლის საქალაქო საბჭოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე

თბილისი. 1964 წლის 11 იანვარი.